საქართველო

№ 11 ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 28 აგვისტო 1942

აგვისტოს აჯანყება

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი"

1924 წლის 28 აგვისტოს, საქართველომ სიკვდილითსიცოცხლის დაბრუნება მოისურვა და აჯანყდა.

ჯვარზედ გაკრული ქართველი ერი აღსდგა იარაღით ხელში და ჩვეული სიმამაცით და თავგანწირვით მტერს ეკვეთა მონობის უღლის გადასაგდებად და დაკარგულ უფლებათა დასაბრუნებლად.

დიდმა მტერმა სძლია საკუთარი ძალების ანაბარა დარჩენილ პატარა საქართველოს და მხეცური სისასტიკით სისხლში ჩაახრჩო 28 აგვისტოს ამბოხება.

დაიხოცა საუკეთესო ნაწილი ჩვენი ერისა, გლოვის სუდარა გადაეფარა აცრემლებულ სამშობლოს, რვა ათასი ქართველი მას შეეწირა.

ღირსეულად და სამაგალითოდ შეასრულეს მათ მამულიშვილური მოვალეობა და ღირსნი გახდენ ჩვენ სახელოვან წინაპართა გვერდით საფლავი მოეპოვათ, იმ წინაპართა გვერდით, რომელთაც დაგვიტოვეს მემკვიდრეობად ყოველგვარ ნივთიერ სიმდიდრეზე უძვირფასესი განძი, სამშობლოსათვის ბრძოლის ტრადიცია.

აგვისტოს აჯანყება იყო გაგრძელება იმ დიადი ბრძოლისა, რომელიც საქართველომ დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ 1802 წელს, მისი დაპყრობის მეორე დღესვე.

აჯანყების პირველი დროშა ფშავ-მთიულებმა ააფრიალეს 1802 წელს; 1804—ს ისევ ფშავ—ხევსურთა უმანკო სისხლი დაიღვარა სამშობლოს სამსხვერპლოზე. 1812—ს კახეთი აჯანყდა, ხოლო 1813 წელს ქართლ—კახეთის საუკეთესო შვილნი გვერდში ამოუდგენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს.

1819—1820 წლებში მთელი დასავლეთი საქართველო ამხედრდა მტრის წინააღმდეგ, სადაც მრავალმა მამულიშვილმა თავი ისახელა გმირული ალმაფრენით აღსავსე ბრძოლებში.

რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა დიდი ომის დროს ქართული ლეგიონი, და იმავე რუსეთს, მხოლოდ ახლა წითლად შეღებილს, დაუნდობლად და მედგრად ებრძოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი შეფიცულებით.

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპენ 19 მაისის გმირნი: კოტე აფხაზი, ანდრონიკაშვილი და სხვები, და თავისუფლების დროშა მიუძღოდა წინ იერიშების დროს 28 აგვისტოს აჯანყებულ ქართველ ხალხს.

ამ დროშას, ქართველ მამულიშვილთა სისხლში განბანილს, ამაყად და მტკიცედ ატარებს დღესაც სისხლითგან დაცლილი და ტანჯული ჩვენი ერი.

მრავალჯერ განგმირეს გული საქართველოსი მისმა უამრავმა მტრებმა, მრავალჯერ გდაიარეს მის გულმკერდზე უხეშმა უცხო ძალებმა, მაგრამ ვერასოდეს ვერ შეეხენ მის მაღალ, უკვდავ სულს, ვერასოდეს ვერ მოჰკლეს მისი სიცოცხლის უსაზღვრო წყურვილი, და ვერც ბრძოლის ცეცხლი ჩააქრეს.

საქართველო, მუდამ ცოცხალი, უშიშარი, სდგას ჩვენ წინ, ყოველთვის განმზადებული მისი ეროვნული არსებობის დასაცავად.

ინგრევა ძველი სამყარო, შენდება ახალი და... ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების ჟამიც ახლოვდება.

მოვიგონოთ ამ სანატრელ წუთებში მოწიწებით და სიყვარულით სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებულნი და თავდადებულნი.

თაყვანი ვსცეთ მუხლმოდრეკით, 28 აგვისტოს აჯანყების დროს საქართველოს დიდებისათვის დაღუპულთ, რომელთა ძვირფას ხსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი ქართველი ერი.

კ. ხ. (კ. ბოგაშელი).

ბოლშევიზმის ბრძოლა ერისა და მისი კულტურის წინააღმდეგ

მარქსიზმი როგორც საზოგადოებრივი მოძღვრება დ მოქმედება.

(გაგრძელება).

ტფილისის ოპერა

იგივე ჩაიდინეს ბოლშევიკებმა რუსეთშიაც. ხოლო უაზრო პრინციპით მხოლოდ უაზრო საქმის გაკეთება შეიძლება, და როდესაც ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ ერის წარსულის წაშლაც ისევე შეუძლებელია როგორც მოკვლა ღმერთისა და მოსპობა ეკლესიისა, თითქოს შესცვალეს პირველი წესი ბრძოლისა და დასდვეს ღირებულება წარსულის კულტურასაც, დაუწყეს ქება რუსთაველს, გაუმართეს „ვეფხის ტყაოსანს" და მის შემოქმედს 750 წლის იუბილეც კი, მოიხსენიეს ქება-დიდებით კიდევ სხვა გარდმონაცემნი წარსული კულტურისა და სხვა პირნი წარსულისა და მათნი საქმენი, — საქართველოშიაც, რუსეთშიაც და სხვა ქვეყნებშიაც „საბჭოთა სამოთხისა", მაგრამ ყოველივე ესე მაინც „ფეოდალური" ან „ბურჟუაზიული" იყო! და როდესაც ამ ომის დროს ფაქტორები ეროვნული სიამაყისა, ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მოვალეობისა და თვით სარწმუნოებრივი ფაქტორი მათთვის უფრო საჭირონი აღმოჩნდენ, ვიდრე საომარი საჭურველი და „პროლეტარული შეგნება" „საბჭოთა სამოთხის" დასაცველად, ბოლშევიკებს პუშკინიც მოაგონდათ, ალექსანდრე ნეველის, სუვოროვის და კუტუზოვის სახელის ორდენთა შექმნაც „საბჭოთა გმირთათვის" მისანიჭებლად, საქართველოში ალბათ დავით-აღმაშენებელი და თამარ - მეფეც მოიგონეს, და თვით რუსთა პატრიარქის და ეპისკოპოსთა ჯვარით კურთხევითა და პარაკლისებით უნდოდათ ჩაედგათ გმირული, „პატრიოტული" სული „წითელი მხედრობისათვის! — ესეც ერთი უსაზიზღრეს მლიქვნელობათაგანი მარქსისტებისა, რომლებმაც ათასობით და ათი-ათასობით „პატრიოტთა" და „ხუცესთა" სისხლით მორწყეს მათი „პროლეტარული" სამფლობელოები, და იგინი მათ სახსენებელსაც კი გააწყობენ ყველგან, რომ კულტურულ კაცობრიობას ბედი გადაუბრუნდეს და მარქსისტებს დარჩესთ გამარჯვება ამ საბედისწერო ომში!

ეს ბრძოლა „წარსულის" წინააღმდეგ ისეთივე სატანური საქმეა მარქსისტთა ერისა და მისი კულტურის მოსასპობად, როგორნიც არიან სხვა საქმენი მათნი. ერი უწარსულო არ არსებობს; უწარსულო, უისტორიო შეიძლება იყოს ველური ტომები, თუმცა სრულიად „უწარსულო" არც ის არის.საზოგადოებრივ ორგანიზმს, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში სძინებია, არა შეუქმნია რა არა აქვს მახსოვრობა თვისი არსებობისა, არ ჰქონია საკუთარი მიზნები, საკუთარი მისსია მისი არსებობის განმავლობაში,არა ჰქონია „წარსული", ისტორია, არც განვითარება შესძლებია! მას არც აწმყო აქვს და არც მომავალი; იგი ემსგავსება დაბადებით იდიოტს, რომლის ცხოვრება არარაობაა და არარაობადვე წარიტაცებს მას სიკვდილი. და რათგანაც ასეთი ერი არ არსებობს, მარქსისტებს ახლა უნდათ აქციონ ყოველი ერი, რომელსაც იგინი იპყრობენ, არარაობად ტერორითა და მათი აღზრდის სატანური მეთოდებით. აქ არის მთელი საშინელება მარქსიზმისა. მას შეუძლებელი მოუწადინებია, მაგრამ რაოდენი ვნება მიაყენა მან მრავალ ერთ ჩვენ თვალწინ და რაოდენს მიაყენებს კიდევ, სანამ იგი საბოლოოდ დამარცხდება თვის უიმედო ბრძოლაში ბოროტების გაბატონებისათვის.

ხოლო რა არის ის „პროლეტარული" კულტურა, რასაც მარქსისტები „წარსულის" დავიწყებით ერებს ჰპირდებიან? პირველად ამ „კულტურის" სახე გამოჩნდა მათი და მათ გავლენის ქვეშ მყოფთა „შემოქმედებით" ევროპაში და ყველგან ჯერ კიდევ უწინარეს ბოლშევიზმის გაბატონებისა რუსეთში. ვისაც უნდა წარმოიდგინოს თვით არსება ამ „კულტურისა", რომელიც იქმნებოდა „ანტიმილიტარიზმის", „პაციფიზმის" „ანტიკლერიკალიზმის", „კლასსთა ბრძოლის" და სხვა მსგავს იდეათა ძალით, საკმარისია იხილოს მუნხენში განგებ გამოფენილნი ნამოქმედარნი ამ „ახალი" ლეტარულნი, მართლაც „კლასსიურ - და მომავალი „ხელოვნებისა", რომელსაც არა თუ სამართლიანად უწოდეს „გადაჯიშებული ხელოვნება", არამედ რომელიც მაჩვენებელია ნამდვილი სატანის სულის მოქმედებისა და მისი უშვერობისა და უკეთურებისა, ყოველისავე შემრყვნელისა და გამხრწნელისა, რაც კი ადამიანს ოდესმე წმიდად და შვენიერად მიუჩნევია!

და ეს შემრყვნელნი და გამ ხრწნელნი უწოდებენ წარსულის კულტურას კლასსიურად, — მონათ-მფლობელთა, ფეოდალთა, ბურჟუათა! რაც თავისუფალ ეროვნულ - სოციალურ შემოქმედებით სულს შეუქმნია საბერძნეთში, რენესსანსის ევროპაში, ან და თვით ძველ საქართველოში და სხვაგან, — მას უწოდებენ „კლასსიურს", თითქოს თვით ერთი რომელიმე ევროპის ტაძარი, რომელიც საშუალო საუკუნეთა განმავლობაში შენდებოდა და ზოგი დღესაც არ არის დამთავრებული, ათასჯერ, ათი-ათასჯერ მეტ სოციალურ სულს არ ამჟღავნებდეს, ვიდრე საბჭოთა პროპროლმეტულნი" შენობანი! თვით დემოკრატიათა გაბატონებამ უკანასკნელ საუკუნეთა რევოლუციების შემდეგ უმდაბლესი კულტურა შექმნა ძველისა, მას შემდეგ რაც განქრენ ძველნი რწმენანი, ძველნი იდეალნი, ძველი სოციალური სული, და საჭოთა სივრცეზე გაბატონებული „პროლეტარიატის", ე. ი. მარქსისტების „კულტურა" ხომ ღირსიც არ არის ამ სახელისა, — ახალი კულტურა იმ ქვეყანათა, სადაც რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასი, ან და პუშკინისა, ლერმონტოვისა და სხვათა ნაც-

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

ლეგიონერებს!

გაზეთ „საქართველო"ს რედაქცია მოუწოდებს ქართველ ლეგიონერებს თხოვნით, გამოაგზავნონ გაზეთში დასაბეჭდად წერილები ყოველგვარ შინაარსისა: მოთხრობები, შთაბეჭდილებანი, ლექსები, პუბლიცისტური წერილები, კარიკატურები და სხვა.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო მოქმედებათა საზოგადო მიმოხილვა

გერმანულმა, რუმინულმა და სლოვაკურმა ჯარებმა თავისი წინსვლა აღმოსავლეთ ფრონტის სამხრეთით წარსულ კვირაშიაც განაგრძეს. ქალაქები: სლავიანსკაია, ელისტანი და გიორგიევსკი ბრძოლით იქმნენ განელილი. გერმანული ჯარები მიიწევიან კავკასიის მხარეში. მრავალი, მთავარ ძალებს მოჭრილნი, ბოლშევიკების ნაწილები განადგურებულ იქმნენ. ბოლშევიკები იყენებენ თავდაცვისათვის შესაფერის გეოგრაფიულ პირობებს და უწევენ გერმანელებს მაგარ წინაალმდეგობას, რომ თავიანთი უკანდახევა ზღვით ჩრდილო-კავკასიის ნავთსადგურებიდან უზრუნველჰყონ. მიუხედავად აუტანელი სიცხისა, გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ: 57 000 ჯარის კაცი ტყვედ, უმეტეს 1000 ჯავშნიანი ავტომობილისა და 750 ქვემეხი იქმნა წამოღებული ან განადგურებული. ეს უზარ-მაზარი რიცხვები ამტკიცებენ არა მარტო ბოლშევიკების უშედეგო ბრძოლას, არამედ გერმანული იარაღის ძალასაც აღმოსავლეთში. მაგარი ბრძოლებით გერმანელებმა დაიკავეს ახალი ადგილები მდ. ვოლგასა და დონს შუა და, მდინარის ყველგან მიხწევის შემდეგ, დონის ბასეინი არის გერმანელების და მოკავშირე ძალების ხელში. 15—დან 17 აგვისტომდე შეტევითი ბრძოლების დროს გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ ტყვედ 12 800 კაცი, 47 ჯავშნიანი ავტომობილი და 292 ქვემეხი იქმნა წამოღებული ან განადგურებული. ბრძოლები რჟევთან, რომლებიც უფრო და უფრო მკაცრი ხდებიან, გაზვიადდენ დიდ ადგილზედ. ამავე დროს ბოლშევიკებმა განაახლეს ერთ დროს შეჩერებული იერიშები ვორონეჟთან. აგრეთვე ვოლხოვის ფრონტთან და ვიაზმას აღმოსავლეთით. მაგრამ გერმანული ხაზების გარღვევა მათ ვერსად ვერ შესძლეს.

ინგლისის გემების ქარავანის კატასტროფა ხმელთა-შუა ზღვაზე.

ირაკი

როგორც ბაღდადის გაზეთიდან ირკვევა, დაჭერილი იქმნა კიდევ 33 პირი საიდის მთავრობის წინააღმდეგ მუშაობისათვის. დაჭერილებს შორის არის 5 პროვინციის გუბერნატორი, მთელი რიგი ექიმები, ვექილები და საზოგდოების წევრები.

სტალინის საიდუმლო ბრძანება

კავკასიის ფრონტზე ერთ გერმანულ ჯავშნოსან კორპუსს ხელში ჩაუვარდა სტალინის საიდუმლო ბრძანება №227 ამა წლის 28 ივლისის თარიღით, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის დაცვას. ეს ბრძანება ნათლად გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის ნამდვილ მდგომარეობას. ამ რამოდენიმე ხნის წინეთ მოსკოვმა გამოაცხადა, რომ ბოლშევიკებს არ შეუძლიათ ბრძოლების დაკარგვა და უკან დახევა, რათგან მათ ჯერ კიდევ საკმაო ძალა გააჩნიათ, რომ დიდი შეტევითი ბრძოლები აწარმოონ, დღეს კი სტალინის ბრძანება სავსებით ამჟღავნებს იმ მძიმე სამხედრო და ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირში. აი სტალინის ბრძანება სიტყვა სიტყვით:

ადგილები, რომლებიც გერმანელებმა დაიპყრეს ან ჰსურთ დაიპყრონ, მოასწავებს პურს და სხვა სანოვაგეს ჯარისათვის, მოასწავებს ლითონის და საწვავ მასალას მრეწველობისათვის. ჩვენ დავკარგეთ 70 მილიონი მცხოვრებლები. ჩვენი მოსავალი უდრის წლიურად 800 მილიონ ფუთით ნაკლებს. ლითონის დანაკლისი აღემატება 10 მილიონ ტონას. ამიერითგან ჩვენ არც ხალხის რაოდენობით და არც მოსავლის მარაგით გერმანელების მიმართ უპირატესობა არა გვაქვს. უკან დახევა უდრის ჩვენს დაღუპვას.

ჩვენ გვაკლია წესრიგი და დისციპლინა. კომპანიებში, ბატალიონებში, რაზმებში და დივიზიებში, ჯავშნოსანთა ერთეულებში. კომისრები და პოლიტხელმძღვანელები, რომლებიც თავიანთი ნებით სტოვებენ ადგილებს და შესცქერიან, თუ ზოგიერთი მხდალი როგორ ახდენს გავლენას ბრძოლაზე, რომ სხვებსაც უკან აბრუნებენ და ამით უღებენ მტერს ფრონტს. ყველა ესენი ადგილზევე უნდა იქმნენ მოსპობილნი. ამიერითგან უმაღლესი კანონი უნდა იყვეს პაროლი: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“

ფრონტის ფარგლებში ყოველმა არმიამ უნდა შეადგინოს ერთი ან ორი (საჭიროების მიხედვით) დასჯილი ბატალიონი. ამ დასჯილ ბატალიონებში გადაყვანილნი უნდა იქმნენ ოფიცრები და პოლიტხელმძღვანელნი, რომლებმაც გამოიჩინეს მტრის წინაშე უდისციპლინობა და ლაჩრობა. ეს ბატალიონები უნდა იქმნენ ჩაბმულნი იქ, სადაც განსაკუთრებული ძნელი პირობებია, რათა დამნაშავეებს შემთხვევა მიეცეთ თავიანთი შეცდომა მოინანიონ...

ამას გარდა არმიის ფარგლებში შედგენილი უნდა იყოს 3—5 კარგად შეიარაღებული ერთეული, რომლებიც უშუალოდ უნდა იქმნენ დაყენებულნი არა-სანდო დივიზიების უკან და რომელთა ამოცანაც იქმნება უწესო დახევის დროს ყოველი ლაჩრის დახვრეტა.“ სამარცხვინოა სამხედრო მეთაურისათვის როდესაც მას მხოლოდ ასეთი საშუალება დარჩენია, რომ თავისი ჯარი მტრის წინააღმდეგ აბრძოლოს. რას მიახწია ამ განკარგულებით სტალინმა, ამას ამტკიცებს 302 საბჭოთა მსროლელ დივიზიის კომანდირის ცნობა: „სტალინის ბრძანება 28 ივლისის თარიღით შესრულებულია. შემაჩერებელი ერთეულები შედგენილია, მაგრამ ეს საშუალება მხოლოდ მსხვერპლს მოითხოვს, შედეგი არაფერია“.

ასურეთი

მდგომარეობა ასურეთში ამაღელვებელია. უწყებები აწარმოებენ დაჭერებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, რომელსაც არ სურს სამხედრო ვალდებულების მოხდა ინგლისურ ჯარში.

დამზვერი ავტომობილები დაჭერილი ტყვეებით არმავირთან.

ევროპა მსოფლიო ომის შემდეგ

(გაგრძელება)

ვერსალის ზავის შედეგად ევროპაში დამკვიდრდა მდგომარეობა, რომლითაც საფრანგეთს მიენიჭა პოლიტიკური ჰეგემონია, ხოლო ინგლისმა უფრო გაიმაგრა თავისი ეკონომიურ ბატონობა არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ მთელ მსოფლიოში. საფრანგეთი ამ შემთხვევაში ბრმა იარაღი იყო ინგლისისა, და მისი მისწრაფება, ერთა ლიგის საშუალებით ებატონა ევროპის კონტინენტზე, უფრო მის მიერ ბრძოლაში დაუმარცხებელი, გერმანიის შიშით იყო გამოწვეული, ვიდრე ევროპის საერთო ინტერესებით ნაკარნახევი.

ომის შემდეგ ევროპაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური კონსტრუქცია იყო მიზეზი ევროპის ეკონომიურად სრულ გაჩანაგების, რათგან ერთი მხრით იგი მსხვერპლად ეწირებოდა ინგლისის მსოფლიო ეკონომიურ ინტერესებს, ხოლო მეორე მხრით ევროპის ცხოვრებაში დამყარებული „დემოკრატიული თავაშვებულობა ჰპოებდა თავის მკაცრ გამოხატულებას აგრეთვე ეკონომიურ ცხოვრების დარგშიაც.

ეროვნული ინტერესთა წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკა გულისხმობდა ეკონომიური საზღვრების წაშლას, რომლებიც სწორედ ერის სასიცოცხლო ინტერესების კარნახით იყო შექმნილი. ინგლის - საფრანგეთის გაბატონებამ ეს საზღვრები წაშალა და გზა გაუხსნა ურიულ - ინტერნაციონალური კაპიტალის თარეშს მთელი ევროპის კონტინენტზე. სამხრეთ ამერიკიდან ჩამოტანილი ხორცი გერმანიის ბაზარზე უფრო იაფი ღირდა, ვიდრე საკუთარი გერმანული ან ევროპის რომელიმე ქვეყნიდან შემოტანილი; ასევე — სოფლის მეურნეობის ყოველი პროდუქტი, რომელიც მცხოვრებთათვის პირველი საჭიროების საგანს წარმოადგენდა. ამ გარემოებამ ბუნებრივად გერმანელი გლეხი გაანადგურა და სოფლის მეურნეობა ამ ქვეყანაში სავსებით დასცა.

პოლონეთი და ბალკანეთის სახელმწიფოები, რომელთაც, როგორც აგრარულ ქვეყნებს, ძლიერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ჰქონდათ, განიცდიდენ პერმანენტულ ეკონომიურ კრიზისებს სწორედ იმიტომ, რომ მათ სასოფლო ნაწარმოებს ბაზარი არ გააჩნდა.

აღსანიშნავია, რომ თვით საფრანგეთი, რომელიც სასოფლო მეურნების მხრით თავის თავად მდიდარია და ამასთანავე ჰყრობს უმდიდრეს კოლონიებს, და რომელიც, როგორც განვითარებული მრეწველობის პატრონი და ომში გამარჯვებული სახელმწიფო, დიდძალ ოქროს აგროვებდა, აგრეთვე განიცდიდა დროგამოშვებით ეკონომიურ კრიზისებს. ეს ფაქტი უეჭველი მღაღადებელია იმ გარემოების, რომ ევროპა წარმოადგენს მთლიან ეკონომიურ ერთეულს და შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მისი ერთი ნაწილის ეკონომიური კეთილდღეობა, თუ სხვა ნაწილები დაავადებულია.

ევროპის ეკონომიურ ქაოსს თავიდანვე გამოეყო იტალია და დღიდან ფაშიზმის დამყარებისა მან იწყო სვლა საკუთარი ეკონომიური გზით, რაიცა უაღრესი გამომხატველია ჯანსაღი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებისა და მათი სამსახურის. იტალიას თავიდან არ გააჩნდა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც საჭირო იყო ამ პრობლემის ევროპის მასშტაბით დაყენებისათვის და მისი მისწრაფების განხორციელება მხოლოდ მისივე ეროვნულ ფარგლებით განისაზღვრა.

როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა რუსეთი თავიდანვე გამოეყო ევროპის ეკონომიკის ოჯახს და წავიდა მარქსიზმის მიერ ნაკარნახევი გზით, რამაც გამოიწვია თვით ამ უდიდეს შესაძლებლობათა ქვეყანაში ეკონომიური არევდარევა და მცხოვრებთა აუწერელი სილატაკე და გაჭირვება. ეს მოვლენა იმდენად არის აღსანიშნავი, რამდენადაც გარეშე რუსეთისა, როგორც ეკონომიური ფაქტორისა, წარმოუდგენელია ევროპის მთლიანი ეკონომიური პოლიტიკა. მაშასადამე, ეს გარემოება კიდევ უფრო უწყობდა ხელს ევროპის ეკონომიური ქაოსის გაღრმავებას.

ერთი ეკონომიური კრიზისიდან ევროპა (ე.ი. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილები) მეორეში ვარდებოდა და მაშინდელი ევროპის პოლიტიკურ მესვეურთ არ გააჩნდათ ძალა ამის გამომწვევი მიზეზები სისწორით განეჭვრიტათ და მისთვის ჯეროვანი დოსტაქრობა გაეწიათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ამისათვის გულწრფელად მოწადინებულნი იქნებოდენ.

ვიმეორებ, დემოკრატიული ეკონომიური პოლიტიკა, მეურნეობაში განუსაზღვრელი თავისუფლების პრინციპის შემცველელი, საშუალებას უქმნიდა ინტერნაციონალურ ფინანსიურ კაპიტალს, სადაც ურიობა იყო გაბატონებული, ევროპის ქვეყანაში თავისუფალი თარეშისას და ეს პოლიტიკა შეგნებით თუ შეუგნებლად მიიმართებოდა ცალკე ერთა ეროვნულ სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

განსაკუთრებული სიმწვავით ეს პოლიტიკა დააწვა ვერსალის ზავით დამონებულ გერმანიას და იგი სწრაფი ნაბიჯით მიექანებოდა კატასტროფისაკენ. ეკონომიური საზღვრების წაშლამ გამოიწვია მისი სასოფლო მეურნეობის განადგურება, ხოლო მისი გნვითარე-

ბუღლ ინდუსტრიის ნაწარმოები, სხვა და სხვა ინტერნაციონალური გადასახადებით დატვირთული, რა თქმა უნდა, ვერაფითარ კონკურენციას ვერ გაუწევდა სხვა, ინდუსტრიალურადაც ასევე განვითარებულ ქვეყნების ნაწარმოებს, ვერც მსოფლიო ბაზრებზე და ვერც შიგნით. ამნაირად გერმანიის ინდუსტრიაშიაც თანდათან გაბატონდა ინტერნაციონალური კაპიტალი და ამით დაუმორჩილა იგი მის ინტერნაციონალურ ინტერესებს.

ევროპის ეს ეკონომიური ქაოსი უეჭველად არის იმ პოლიტიკური შეუგნებლობის შედეგი, რომელიც დაიბადა ვერსალში და რომელსაც ასე ჯიუტად განაგრძობდენ ვერსალის ზავის შემომქმედნი. მაგრამ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური დაშლილობა, გაუერთიანებლობა ხომ ინგლისის პოლიტიკის ერთი მთავარი მიზანი იყო და მან ვერსალით ერთხელ კიდევ დაამკვიდრა ევროპაში ის ვითარება, რომლისთვისაც იგი ასეულ წელთა მანძილზე ზრუნავდა და რომელსაც იგი საჭირო გამოცდილებით ახანგრძლივებდა.

რატომ იყო ინგლისი ევროპის გაერთიანების წინააღმდეგ? როგორ ჩამოყალიბდა მისი მისწრაფება, რომელიც ევროპის კონტინენტალური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული? ამის შესახებ შემდეგ წერილში.

ტოგო.

(გაგრძელება იქნება)

ბოლშევიზმის ბრძოლა ერისა და მისი კულტურის წინააღმდეგ.

(პირველი გვერდის გაგრძელება)

ველად „პროლეტარული“ ურიები და ურიის ჰანგზედ მომღერალი მჯღაბნელები ატრიალებენ კალამს და მგოსნობენ, ხოლო ნამდვილნი მგოსანნი თვის ხორცთა დასაცავად კაცის მკვლელებს საკმეველს უკმევენ და თვის სულსა ჰკლავენ! და ამგვარადვე და ამგვარ შემოქმედთაგანვე შეიქმნა მთელი „საბჭოთა კულტურა“, რომლით გაბედნიერებას სტალინი და მისი ურიები ევროპას და მთელ კაცობრიობას ჰპირდებიან!

ლეგალური მარქსისტული პარტიები ყოველთვის უჭერდენ მხარს რევოლუციონურ ამხანაგთა რევოლუციონურ მოქმედებას, და რევოლუციონური მარქსისტები ყოველთვის მოგებადა სთვლიდენ მათ ლეგალურ ამხანაგთა პოლიტიკურ მიხწევებს. სრული რევოლუციონერები ან სრული ლეგალისტები მარქსისტები აროდის ყოფილან ბოლშევიზმის დამკვიდრებამდე რუსეთში. მაგრამ სრული უნიჭობა მათი, პოლიტიკურიც და რევოლუციონურიც, მთელმა მათმა ისტორიამ დაამტკიცა. ევროპაში სოციალ - დემოკრატია ათეულ წელთა განმავლობაში იღვწოდა პოლიტიკურად, მაგრამ მას არ შემოუღია არსად, არც ერთ ქვეყანაში არც ერთი დიდი რეფორმა, არც პოლიტიკური და არც სოციალური. ინგლისისა და საფრანგეთის დიდი რეფორმატორები სოციალ-დემოკრატები არ ყოფილან, ხოლო ბისმარკი, გერმანიის უდიდესი პოლიტიკოსი წარსული საუკუნისა, დემოკრატიც კი არ ყოფილა. სოციალ-დემოკრატია ყველგან ან ოპპოზიცია იყო, ან და მოკავრიშე, უფრო კიდე დემოკრატიისა და სრულიად მოშინაურებული მის მიერ, და მაშინაც კი, როდესაც იგი მთავრობის სათავეში იყო ხოლმე, ქვეყნის მმართველი, მხოლოდ უნიჭობა პარტიათაგან. მაგრამ კონტაქტი რევოლუციასთან მას აროდეს დაუკარგავს. არა თუ „საბოლოო მიზანი“ ს.-დ-თა იყო „რევოლუცია“ (იგინი პატიოსნების დასაცავად „მშვიდობიან რევოლუციასაც“ ახსენებდენ ხოლმე), არამედ მათი მინისტრებიც კი მუშათა მიტინგებზედ რევოლუციონურ სიტყვებს ამბობდენ ხშირად, და ეს არ იყო სიტყვები, რევოლუციონურ მასსათა გულის მოსაგებად ნათქვამი, არამედ ნაკარნახევი იმ განზრახვით, რომ რევოლუციას უფრო მტკიცე ბატონობა მიენიჭებია მათთვის, ვიდრე დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვება ანიჭებდა მათ და მათ პარტიას, თუ რევოლუცია ერთხელ აუცილებელი შეიქმნებოდა.

მ.. წ.

(გაგრძელება იქნება)

მოწინააღმდეგების სიცრუენი

ჩვენ მოგვყავს ქვევით შემდეგი დაპირისპირებანი ინგლისურ, ამერიკულ და საბჭოთა პრესსის ამონაწერების 1942 წლის მაისიდან დღემდე, რომლებიც ამტკიცებენ თავის დაკარგვის უმაღლეს საფეხურს, მიხწეულს მტრის ბანაკის მიერ.

„ლონდონის რადიო“: 15.5.42 „მარშალ ტიმოშენკოს ძალების შეტევით გერმანელების იერიშები სავსებით შეწყვეტილ იქმნენ.“

„ლონდონის რადიო“: 1.8.42

„ფაქტია, რომ რუსის ჯარები ვერც ერთ ადგილზე გერმანიის იერიშებს ვერ აჩერებენ, ისინი უკან იხევენ.“

„ტაიმს“-ი: 23. 5 42

„გერმანელების წინააღმდეგობა დღითი-დღე სუსტდება.“

„ტაიმს“-ი: 20. 7. 42

„გერმანელების იერიშები ძველებურად მოქნეულია.“

„როიტერ“-ი: 15. 5. 42

„თუმცა გერმანელებმა თავიანთი უკანასკნელი მარქაფი ბრძოლაში გადაისროლეს, მაგრამ რუსების წინსვლა ხარკოვზე მაინც ვერ შეაჩერეს.“

„როიტერ“-ი: 1. 8. 42

რუსეთმა უკვე ბევრი მხარე — ნედლი მასალის წყარო და ინდუსტრიის ცენტრები და ქარხნები დაკარგა. საბჭოთა მთავრობისათვის მდგომარეობის საშიშროება სავსებით ნათელია.“

„ამერიკული რადიო“: 22. 5. 42

„როგორცა სჩანს, რუსების წინსვლამ ხარკოვზე გერმანელებს თავი დააკარგვინა.“

„ამერიკული რადიო“: 27. 7. 42

„გერმანელების წინსვლა დონის მიმართულებით სწრაფად ხდება. გერმანელების შეტევა ვოლგის მიმართულებით კიდევ უფრო სახიფათო მდგომარეობას ჰქმნის.“

„რადიო დივენტრი“: 19. 2. 42

„საბჭოთა მომავალი იერიშების შედეგი იქნება გერმანელების არა უკანდახევა, არამედ თავდაბნეული გაქცევა.“

„რადიო დევენტრი“:5. 8 42

„სამწუხაროდ იძულებულნი ვართ ყოველ დღე გერმანელების წარმატებითი იერიშები და ჰიტლერის დივიზიების კავკასიასთან მიახლოვება მოვისმინოთ.“

„იზვესტია“: 22. 5. 42

„საბჭოთა ჯარები განუწყვეტლივ არღვევენ გერმანელთა თავდაცვის ხაზებს.

„იზვესტია“: 2. 8. 42

„საბჭოთა რუსეთის მცხოვრებლები აღელვებით და შიშით ადევნებენ თვალყურს გერმანელი ჯარების მიერ ჩვენი ხაზების გარღვევას.“

„ლონდონის რადიო“: 28. 5. 42

„ჰორიზონტზე უკვე გარკვევით სჩანს ნიშნები მოკავშირეების უეჭველი გამარჯვებისა.“

„ლონდონის რადიო“: 5. 8. 42

„საბჭოთა მდგომარეობა კატასტროფიულია.“

ასეთი საშუალებებით ვერასოდეს ვერ მოიგებენ ომს ინგლისი, ამერიკა და საბჭოთა კავშირი. მათ ხალხებს კი დღეს თავიანთი მთავრობების არც ერთი სიტყვა აღარა სჯერათ.

ინგლისელი გენერალი შეიქმნა მსხვერპლი ინდოელ ჯარისკაცთა შურისძიებისა

ინდოეთის ერის ბრძოლის სურვილმა ყველა ქვეყნებში გამოძახილი ჰპოვა. ეგვიპტეში ინდოელი ჯარისკაცები აჯანყდენ ინგლისელების წინააღმდეგ. ინგლისის რადიოს ცნობით, ეგვიპტეში მეცამეტე არმიის კორპუსის კომანდირი გენერალ - ლეიტენანტი გოტტი მოკლული იქმნა ქუჩაში აღელვებული ინდოელთა ჯარის კაცების მიერ. ამასთან დაკავშირებით, ეგვიპტეში ერთ ინდოელების რაზმში დახვრეტილი იქმნა ყოველი მეოცე ინდოელი ჯარის კაცი და ინდოელი ოფიცრები თავის თანამდებობიდან მოხსნილი.

უკმაყოფილება ეგვიპტის მცხოვრებლების ინგლისის ჯარის წინააღმდეგ დღითი დღე მატულობს.

ინგლისელთა საველე სასამართლომ კაიროში გამოუტანა ოთხ ეგვიპტელ მოქალაქეს სიკვდილის განაჩენი ინგლისურ ტრანსპორტზე თავდასხმის გამო.

მარტივი საუბარი

„სიტყვა ბრძნული, მოკლედ თქმული“-ო. აბა, ბრძნულს კი ვერას დაგპირდებით. რომელი იაკობ ხუცესი ან გიორგი მთაწმინდელი მე ვარ! მე, თქვენი ჭირიმე, ერთი უსწავლელი ვინმე გახლავართ. ჩვენმა დიაკვანმა კაკომა ხარის ბეჭზედ მასწავლა წერა-კითხვა და ეს იყო და ეს. მგრამ სიმართლეს კი ბევრს მოგახსენებთ. ი ოხერი სიმართლის თქმას ხომ სწავლა არა სჭირია! მე მინდა, რომა ჩვენი ქართველი გლეხის გულის ნადები გადავშალო წინაშე მკითხველისა. ერთი სიტყვით მიწის მუშის პირ - ვარამი გავაცნო ქვეყანასა. გლეხ. კაცის გულის პასუხი ვიცი, რათგან მეც მიწის მუშა ვიყავი.. მეც გამაჩნდა ორი მტკაველი სახნავ-სათესი. ორიოდე ორ მტკაველი სახნავ-სათესი. ორიოდე ვაზი მეცა მქონდა ჩაყრილი. ჩვენ მადლიან მიწაზე მეცა მქონდა მამა-პაპათა ქოხი დადგმული. იმდენი მეხი დაეცა თავზედა ჯერ ჩვენ მენშევიკებს და მერე ბოლშევიკებსა, რამდენი წვეთი ოფლი მე ჩემ ხნულსა და ყანაზედ დამიღვრია. მეც თქვენსავით, ჩემო ძმებო გლეხებო, მიწას დავსტიროდი და დავმღეროდი. ხალხში თავი იმითი მომქონდა. მეც კაცი ვიყავი და ქუდი მხურა, სანამ ი შეჩვენებულმა კომუნისტებმა ჩემი ნაამაგევი მიწა არ წამართვეს და ეშმაკის მუშად არ მაქციეს. მაშინ მეც ავიღე ხელში ჯოხი, რათგან ჯოხის მეტიც აღარა შემრჩა რა, და ცხრა მთას იქით გადავიხვეწე. დავსახლდი უცხოეთში და უცხო ტომის ხალხში სულით ობოლი დავრჩი.

ჰო და ეხლა, ტლუთ მოხეტიალეს, ხშირად მიფიქრია: რა უნდა ჩვენ ქართველ გლეხსა? უპირველესად მას უნდა მიწა. ეს მიწა მას უნდა ეკუთვნოდეს. როგორც სურს, ისე უნდა მოუაროს და გამოიყენოს. არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება, მას თავისი საკუთრება და თავისი ნაოფლარი წაგლიჯოს. მისი სიკვდილის შემდეგ მიწას მისი ოჯახი უნდა დაეპატრონოს. ჩვენ გლეხსა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, უნდა ისა, რომ იმდენი დოვლათი ჰქონდეს, რომ ოჯახი გამოკვებოს და სტუმარსაც პატივი სცეს. აბა რაღა სიცოცხლეა, შვილოსა, ის სიცოცხლე, თუ კარზედ მომდგარ მოკეთესა ერთი ქათამი ვერ დაუკალი და ერთი ხელადა ღვინო ვერ დაალევინე; თუ ქორწილი ქორწილის შესაფერად ვერ გადიხადე და ნათლობა ნათლობისა? ერთი სიტყვით, ჩვენ გლეხსა ისა სურს, რომ კაცია და კაცურად იცხოვროს, სოფელში გამოესვლებოდეს! თავი მაღლა ეჭიროს!

ის არ გეგონოთ, რომა ჩვენ ქართველ გლეხსა შრომა ეზარებოდეს. აი დედასა! ვისაც ნამგლით ყანაში და თოხით სიმინდში არ უნახავს ისა, იმან რა იცის თუ რა ლომკაცაა ჩვენი გლეხი მუშაობაშია. ისე ეძგერება მუშაობასა, როგორც მებრძოლი მტრის რაზმსა. მაგრამ უნდა იცოდეს, რომა თავისი ოჯახისათვის შრომობს და არა რაღაცა კოლხოზ - მოლხოზებისა და ეშმაკ-ჯანაბისათვის! ომშიც ესე იყო. როცა გლეხკაცი ხედავდა, რომა თავისი სამშობლო-საქართველოსთვის იბრძოდა, ღმერთმა მოგცეთ, რომ იმან ხმლის დატრიალება იცოდა. მაგრამ რათ უნდა იბრძოლოს-მეთქი დღესა, რათა? ი მყრალ რუსებისა და წუპაკ ურიებისათვის?! გიჟი ხომ არ არის! მამულები და სარჩო - საბადებელი წაგვართვეს ი მყრალმა რუსებმა თორემა ჰკუა ხომ ვერა! ჰო და ესე, და ეს იცოდეს ყველამა! ეხლა მითხარით, ტყუილს ვამბობ თუ მართალსა? თუმცა ნათქვამია: „მართლის მთქმელ კაცსათ ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდესო“, მაგრამა მე ამ სიმართლეს გერმანიაში ვამბობ, სადაც სიმართლისათვის არავისა სჯიან, თორემ ი ოხერ- ტიალა რუსეთში რა მათქმევინებდა?!

რა უნდა კიდევ გლეხსა? ის უნდა, რომა ოჯახი ოჯახსა ჰგავდეს. უფროს-

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)

გერმანელები შედიან მაიკოპში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდგორის ომი

ერის დიდებისა და აღორძინებისათვის ორი მთავარი პირობაა საჭირო: გარეშე მტერთაგან თავდაცვის უზრუნველყოფა და შინაგანი ეროვნული მთლიანობა.

დავით აღმაშენებელი იყო ის პიროვნება, რომელმაც ეს ორივე პირობა შეუქმნა ქართველ ერს და მის დიდებასა და ძლიერებას საფუძველი ჩაუყარა.

მდგომარეობა იყო მეტად მძიმე. ქვეყანა ჯერ კიდევ მუდმივ რბევას განიცდიდა თურქ-სელჯუკებისაგან და მისი ზოგი ადგილებიც, როგორც თვით სატახტო ქალაქი, ჯერ კიდევ არაბების ხელში იყო. ბაგრატ მესამის დროს დაწყებული საქართველოს გაერთიანებაც ჯერ მოთავებული არ იყო. კახეთი განზედ იდგა და სხვა პროვინციათა მთავრებიც მუდმივ ებრძოდენ მეფეს და ცენტრალისტურ რეჟიმს. ასეთ პირობებში საჭირო იყო სწორედ დავით აღმაშენებელის გენიოსობა, მისი ძლიერი ნებისყოფა და აგრეთვე ხელსაყრელი პირობები, რომ ქვეყანა გაენთავისუფლებინა გარეშე მტერთაგან და ერი აღორძინების გზაზედ დაეყენებინა.

დავით აღმაშენებელის გამჭრიახ გონებას არ გამორჩენია ის დიდი ამბები, რომელიც მის დროს აღმოსავლეთში ხდებოდა. რელიგიის სამოსელში ევროპა ებრძოდა აზიას და ამით ჯვაროსნობა ქმნიდა ქართველთა განთავისუფლებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს. და თუ არა ასეთ პირობებში, სხვა როდის შეეძლო საქართველოს თავი ეხსნა აღმოსავლეთის დამპყრობელთაგან!

მაგრამ სანამ გარეშე მტრის წინააღმდეგ დავითი გადამწყვეტ ბრძოლას გამოაცხადებდა, საჭირო იყო შინაგანი მთლიანობა, სიმტკიცე და მომზადება. მან თავისი გამჭრიახი გონებით სულ მალე დაიმორჩილა ურჩი ფეოდალები, განამტკიცა ერთობა და დისციპლინა და მთელი ქვეყანა ერთი საერთო იდეალით აღჭურვა. დაიმეგობრა მეზობლები, მოხარკედ გაიხადა ჩრდილოეთ კავკასიელები, ზავი ჩამოაგდო ოსებთან და ყივჩაყებთან, გაამაგრა დარიალი და მთელი ჩრდილოეთის საზღვრებში ჩააყენა თავისი გარნიზონები. ამერითგან ის მზად იყო გარეშე მტერს შებმოდა.

აქამდე ქართველი მეფის ბრძოლებს მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა. ის გრძნობდა, რომ ასეთი ხასიათის ომებით შეუძლებელი იყო მტრის საბოლოო დამარცხება. მით უმეტეს მთელი ამდროინდელი მუსულმანური სამყარო: სელჯუკები, არაბები, სპარსელები, თუმცა პოლიტიკურად დაშლილი, საერთო მტრების წინააღმდეგ შეკავშირებული იბრძოდენ და დიდ ძალასაც წარმოადგენდენ.

საჭირო იყო ძალისათვის ძალის დაპირდაპირება. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა პირველმა შექმნა რეგულარული ჯარი. მაშინ მთელი ევროპისათვის ეს იყო ახალი მოვლენა. გადმოიყვანა ჩრდილოეთ კავკასიიდგან 40 000 მხედარი. აქედან შეადგინა ცხენოსანი ჯარი, შეიარაღა და გაწვრთნა 3 — 4 წლის განმავლობაში. მას აგრეთვე ჰყავდა 5000 სამეფო ცხენოსანი ჯარი. ცხადია, ეს იყო საერთო ბაზა მისი შეიარაღებული ძალის. მას შეეძლო კიდევ კერძო მობილიზაციაც. ამგვარად სამხედრო ძალაც მზად იყო ძლიერი შეტევითი ომების დასაწყებად.

მცირე აზიის ბატონებმა იგრძნეს დავითის ასეთი გაძლიერება. ხედავდენ, რომ ის ზედი-ზედ ამარცხებდა თავის საზღვრებზედ თურქ-სელჯუკთა ჯარებს. საჭირო იყო შეერთებული ჯარებით შეეჩერებინათ დავითის წინსვლა.

ამ დროს პარალელურად ევროპის ჯვაროსნები უტევდენ მუსულმანურ სამეფოებს და ამით ერთგვარი კავშირი დაიდო ჯვაროსნებსა და საქართველოს შორის.

საქართველო ამ დროს ისე დიდი ფაქტორი იყო, რომ მისი ყოველი პატარა გამარჯვება მუსულმანებზედ ევროპაში მიჩნეული იყო ჯვაროსანთა დიდ გამარჯვებად. თვით დავით აღმაშენებელი აღიარებული იყო დიდ მოკავშირედ და იქ ითხზებოდა ლეგენდები როგორც დიდ გმირზედ.

ამ დროს მუსულმანობა მძიმე მდგომარეობაში იყო. ამიტომ მოახდინეს მთელი კოალიცია და სანამ ეს შეერთებული ჯარები ჯვაროსნებს შეუტევდა, გადასწყვიტეს, ჯერ ქართველი მეფე გაენადგურებინათ, რომელიც ამ დროს ზურგიდან სცემდა და საქმეს ურთულებდა. მუსულმანთა შეერთეული ლაშქარი, ისტორიკოსების ცნობით, 400 000 კაცი, სულთან ელღაზ მეორის ხელმძღვანელობით შემოდის საქართველოში 1121 წელს და 12 აგვისტოს დაბანაკდება დიდ-გორში.

დავით აღმაშენებელი თავისი ჯარით, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ანგარიშით შესდგებოდა 61 000 კაცისაგან (სადაც შედიოდა 1000 ფრანგის ჯარის კაცი), დაბანაკდა მაღლობებში. აქ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ომის დაწვრილებითი განხილვა. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ომი იმ თავითვე იყო მოგებული ქართველი მეფის მიერ. მტრის ჯარის ურიცხვობა აფიქრებდა დავითს და არ უნდოდა საქმის მოგება მხოლოდ ვაჟკაცობაზედ დაემყარებინა. მან მიმართა ასეთ ტაქტიკას: უნდოდა ომი მიელო იქ, სადაც მისთვის ხელსაყრელი იყო. ელღაზმა უცადა რამდენიმე დღე.

მერმე ეკვეთა მას თავისი მრავალ რიცხოვანი ჯარით. მეფე დავითი სათანადოდ შემზადებული დახვდა და მტრის ბანაკში პირველსავე შეჯახების დროს არევ-დარევა შეიტანა. მალე სასტიკად დაამარცხა, 4000 ტყვე წამოიყვანა; დიდძალი ქონება ჩაიგდო ხელში და მტერი შერცხვენილი უკუაქცია.

ეს ბრძოლა მოხდა 1121 წლის 15 აგვისტოს და ჩვენს ისტორიაში ცნობილია **დიდ-გორის ომი**-ს სახელით.

ეს გამარჯვება იყო ბრწყინვალე და დიდმნიშვნელოვანი ჩვენი ისტორიისათვის. ჯერ ის იყო ერთგვარი დაგვირგვინება იმ განუწყვეტელი ომების, რომელსაც დავითი ეწეოდა, რათგან ამ დიდი ისლამური კოალიციის დამარცხების შემდეგ მას წინ ველარავინ დაუდგებოდა.

მეორე წელსვე სულ ადვილად გააძევა არაბები ტფილისიდან, შემოიერთა კვლავ კახეთი და გარეშე მტერთაგან განთავისუფლებული, გაერთიანებული ძლიერი საქართველო შექმნა. ასე რომ ეს ომი იქცა სიმბოლოდ ჩვენი თავისუფლების, ერთობისა და დიდებისა.

ამ ომს ჰქონდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობაც. ისლამური კოალიციის სასტიკი დამარცხება ქართველთა მიწაზედ ერთბაშად აღამაღლებს საქართველოს პრესტიჟს და ამიერითგან ევროპის თვალში ის იღებს პირველხარისხოვანი სახელმწიფოს სახელს.

მუშები მალავენ მტრისაგან საწვავ მასალის ჭურჭლებს.

ამ მოვლენამ დაამტკიცა, რომ საქართველომ ევროპა-აღმოსავლეთის შებმის დროს შესძლო თავის განთავისუფლება, რომელზედაც შემდეგ აშენდა თამარისა და რუსთაველის პოლიტიკური და კულტურული ძლიერება.

დავით აღმაშენებელის სახელმწიფოში შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოს მრავალი ისეთი ნიშნები, რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი საქართველოს თავისუფალი სახელმწიფო.

ა. მ.

მარტივი საუბარი

(მესამე გვერდის გაგრძელება)

უნცროსობა სუფევდეს შიგა. ოჯახის უფროსის სიტყვას პატივი ედოს. „პატივი ეცი დედასა შენსა და მამასა შენსაო“, ეს ხომ ქრისტიანულ სარწმუნოებაშიც გვიწერია! შვილი უნდა მამას უგონებდეს. ოჯახის ნამუსი და პატიოსნება დაცული უნდა იყოს. გოგოს რომ გაათხოვებ, ეს გათხოვება გათხოვებას უნდა ჰგავდეს და არ იყოს ისეთი როსკიპობა კომუნისტური ქორწინება რომაა: კაცი საღამოთი ცოლს შეირთავს და დილით ეყრება. აბა რა ნამუსია ესა? უწინ ხომ ესე არა ყოფილა საქართველოში. ერთი გაებედა ვისმე უწინდელ დროსა ოჯახის ასეთი აბუჩად აგდება და ნახავდა თავის [illegible]! [illegible]-მა შინდის კომბალს რომ დაანათებდა თავშია და გოგრასავით გაუხეთქავდა! რათგან ჩვენი ხალხის ნათქვამია: „ოჯახის შემაგინებელი ეშმაკის კერძიც ყოფილაო“. აი, რა ნაირი ოჯახი უნდა შვენ გლეხსა. ესეა, თუ არა!? ვიცი, შვილოსა, ჩვენი გლეხის ავან-ჩავანი-მეთქი და! ესე ვკითხულობ იმის გულშია, როგორც ხარის ბეჭზედ დაწერილ ანბანსა.

კარგი და პატიოსანი: ეს მიწა, ეს ოჯახი. მაგრამა ჩვენ, ქართველ მიწის მუშებსა მარტო ეს ორი საუნჯე ხომ არ გაგვაჩნია? არა, ჩვენა გვაქვს ერთი რამ უფრო დიდი, უფრო საყვარელი, ურომლისოდ არც მიწას ვინმე შეგვარჩენს და არც ცოლ-შვილის ნამუსსა, თორემა აი ხომ ნახეთ, გლეხებო? მიწა წაგვართვეს. მერე გაგვგდეს წინა და საქართველოს მოყვარეს და მეგობრის გერმანიის წინააღმდეგ გაბრძოლეს ომშია და შიგ ოჯახში კი ურიები ჩაგისახლეს? დაინდობს თქვენი ოჯახის ნამუსსა იმ თქვენ სახლში ჩასახლებული ურია?! ჰო და ის დიდი რამე, რომელიც ყველა ქართველთა განძს შეადგენს, არის ჩვენი სამშობლო — საქართველო. ეს არის ყველა ქართველთა საერთო დიდი ოჯახი. ესე ვსთქვათ **ოჯახთა-ოჯახი.** ერთი სიტყვით, დიდი ეროვნული ოჯახი. თუ ეს ჩვენი ეროვნული ოჯახი მტკიცე და ძლიერია, თუ შიგ ყველა ქართველები განურჩევლად ძმურადა ვართ შეკავშირებული, ჩვენს ქვეყანას მტერი ვერ გასტეხს. ვერ შემოგვეჭრება და ვერც მიწას წაგვართმევს და ვერც ოჯახს წაგვიბილწავს. თუ საქართველოს რუსები შემოესიენ 1921 წელსა და დაგვმართეს ის, რაც ყველა თქვენგანმა თავის ზურგზედა სწვნია, ეს იმიტომა რომა ჩვენმა მენშევიკებმა, რომელიც მაშინ საქართველოსა მართავდენ, ერთი ოჯახათ კი არ შეაერთეს ქართველი ხალხი, არამედ დაჰყვეს და ერთმანეთი აქლეტინეს ერთი სიტყვით. „ციხე შიგნითგან გასტეხეს“ და ამიტომ კომუნისტური რუსეთიც ადვილად შემოგვესია. მაგრამ ეხლა დრო და გარემოება იცვლება. მადლობა ზეციურ უფალსა! ეხლა გონიერი და განათლებული გერმანია მოდის საქართველოს დასახსნელად. გერმანიასთან ერთად მუშაობენ და იბრძვიან დიდი თავის ქართველები, რომელნიც ახალ აზრზედა სდგანან და საქართველოს გონიერად ააშენებენ. ისე მოაწყობენ ჩვენ ქვეყანასა, როგორც ქართველ გლეხსაც მოუხდება, ქალაქის მუშასაცა, ღვდელსაცა და ბერსაცა, ექიმსაცა და ვექილსაცა, ქალსაცა და ბავშვსაცა. ეხლა კი ნახვამდის, ძმებო, და თუ გნებავთ, შემდეგშიც გესაუბრებით ჩემი მარტივი საუბარითა.

ხ. მ.

ინგლისის იმპერია ირყევა

ინგლისის საწინააღმდეგო მიტინგები ინდოეთში და ეგვიპტეში

ინგლისის წინააღმდეგ დემონსტრაციები ირანში, ირაკში და სირიაში.

უკანასკნელი ამბები ინდოეთში ამტკიცებენ, რომ ინდოეთის მრავალ მილიონიანი ერი თავის მჩაგვრელი ინგლისის წინააღმდეგ აღსდგა.

თავის მიმართვაში სრულიად ინდოელთა მეთაურმა სუბჰას ჩანდრა ბოსემ მოუწოდა ინდოელებს აჯანყებისაკენ ინგლისის ბრძანებლობის მოსასპობად.

ღმერთო ისმინე ვედრება
ბედისგან განამწარისა,
მოტრფიალე და ერთგულის
თვისი ტანჯული მხარისა.

ისე ნუ მომკლავ, ვერ ვნახო
კაშკაში ჩვენი მთვარისა,
ვერ გავიგონო ქვითინი
სისხლით შეღებილ მტკვარისა.

სვეტიცხოველზედ პრიალი
კვერით ნაჭედი ჯვარისა,
სიონის მხრიდან გრიალი
ათასი წლიან ზარისა.

დიდების ველზედ ლაღობა
ქართველთ უშიშარ ჯარისა;
ღმერთო ისმინე ვედრება
ბედისგან განამწარისა!

მ. დ.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
გიორგი ფრონელი.

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Giorgi Phroneli, Berlin W 35, Am Karlsbad 28.

სტამბა: Deutscher Verlag, Berlin